



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მდივნის

გიორგი მიქაუტაძის

ყოველწლიური ანგარიში

2018-2019

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, რომელიც ახლადარჩეული პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე შევიდა ძალაში, განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. კონსტიტუციისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, წარმოგიდგენთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ანგარიშს საბჭოს მიერ 2018-2019 წლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

1. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა

სასამართლო სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა. აღნიშნული პრობლემა დგას არა მხოლოდ პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების, არამედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინაშეც. უზენაეს სასამართლოში სულ უფლებამოსილებას ახორციელებს 10 მოსამართლე, რომელთაგან ორს გაგრძელებული აქვს უფლებამოსილება მათი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მხოლოდ ერთი მოსამართლეა.

მიმდინარე წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მთავარი გამოწვევა იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 20 ვაკანსიაზე კანდიდატთა შერჩევის პროცესის წარმართვა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში აღნიშნული პროცესი 4 თვე (მაისიდან აგვისტოს ჩათვლით) მიმდინარეობდა, ხოლო პროცესის დაწყებამდე საბჭო აქტიურად იყო ჩართული საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებაში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შერჩევის პროცესი დღემდე მიმდინარეობს, სრულყოფილ ანგარიშს აღნიშნულ საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შერჩევის დასრულების შემდეგ წარმოგიდგენთ.

საქმეთა ნაკადთან გამკლავებისთვის მნიშვნელოვანია ასევე პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა არსებული ვაკანტური ადგილების შევსება. სწორედ ამ მიზნით, 2018 წელს დასრულდა მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი ერთი კონკურსი, რომლის შედეგადაც იმავე წლის 11 იანვარს თანამდებობაზე განწესდა 34 მოსამართლე, აქედან 15 სკოლის მსმენელი, 1 ყოფილი მოსამართლე და 18 მოქმედი მოსამართლე. 2018 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდა მოსამართლეთა შესარჩევი კიდევ ერთი კონკურსის პროცედურა 43 ვაკანტურ ადგილზე, რომლის საფუძველზეც 2019 წლის 25 მაისს თანამდებობაზე განწესდა 32 მოსამართლე, აქედან 3 სკოლის მსმენელი, 2 ყოფილი მოსამართლე, ხოლო 27 მოქმედი მოსამართლე. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სისტემას 21 ახალი მოსამართლე დაემატა, ხოლო 45 მოქმედი მოსამართლე უვადოდ განწესდა.

დღევანდელი მდგომარეობით, არსებულ ვაკანსიებზე მიმდინარეობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურები. კერძოდ, მას შემდეგ, რაც დასრულდა მოსამართლეთა შერჩევის პროცედურები, 2019 წლის ივნისიდან ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე 27 მოსამართლე გადაინიშნა შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის

სასამართლოში. გათვალისწინებული იყო როგორც სასამართლოს, ისე კონკრეტული მოსამართლის საჭიროებები. დღეისათვის ასეთი პროცედურა კვლავ მიმდინარეობს 61 ვაკანტურ თანამდებობაზე და ის უახლოეს მომავალში დასრულდება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაწყებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 79⁴ მუხლით გათვალისწინებული პროცესი. აღნიშნული საფუძვლით უვადოდ, კანონით გათვალისწინებული ასაკის მიღწევამდე, 2018 წელს დაინიშნა 44 მოსამართლე, ხოლო 2019 წელს 8 მოსამართლე. დღეისათვის საერთო სასამართლოების სისტემაში 3 წლის ვადით დანიშნულია 41 მოსამართლე (რომელთაც აქვთ არანაკლებ 3 წლის სამოსამართლო გამოცდილება), მათგან 3 მოსამართლის მიმართ გრძელდება შეფასების პროცედურები (ვინაიდან მათ არ მოუმართავთ საბჭოსათვის უვადოდ გადანიშვნის მოთხოვნით), ხოლო 1 მოსამართლეს უარი ეთქვა უვადოდ დანიშვნაზე და აგრძელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას არსებული ვადის ფარგლებში. დარჩენილი 37 მოსამართლის მიმართ მიმდინარეობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 79⁴ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა, კერძოდ, დასრულდა ინფორმაციის მოძიებისა და გასაუბრების ეტაპები, ხოლო პროცესი სრულად უახლოეს მომავალში დასრულდება. ამ პროცესის დასრულებით სისტემაში აღარ დარჩება 3 წლის ვადით დანიშნული ისეთი მოსამართლე, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 წლის სამოსამართლო გამოცდილება.

2018-2019 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანონით დადგენილი წესით ახორციელებდა 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასებას. 2018 წლის განმავლობაში როგორც საბოლოოდ, ისე შუალედურად შეფასდა 3 წლის გამოსაცდელი ვადით დანიშნული 62 მოსამართლე და შეფასების პროცედურების დასრულების შედეგად 27 მოსამართლე დაინიშნა უვადოდ, ხოლო 2019 წელს, როგორც საბოლოოდ, ისე შუალედურად შეფასდა 3 წლის ვადით დანიშნული 35 მოსამართლე და შეფასების პროცედურების დასრულების შედეგად 9 მოსამართლე დაინიშნა უვადოდ.

მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემაში ახალი, მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების შემოდინების პროცესის ხელშეწყობა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წელს მიიღო გადაწყვეტილებები „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ“ და „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულის საფუძველზე განახლდა საგამოცდო პროგრამა. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) დაფინანსებით, გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა (NAEC) შექმნა ინტენსიური სასერტიფიკატო პროგრამა საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხების მომზადების მეთოდოლოგიაში და ტრენინგი ჩაუტარა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეულ 30 ექსპერტს. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიამ გამოცდისთვის შეადგინა ახალი დავალებები. უახლოეს მომავალში საბჭოს მიერ სასერტიფიკაციო კურსისათვის შეირჩევა დამატებითი ექსპერტები, რათა საგამოცდო კომისიის უფლებამოსილების ამოწურვისთვის არ შეიქმნას წევრთა ჩანაცვლების პრობლემა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა განახლებული დავალებებით ჩაატარა 3-ჯერ - 2018 წლის ზაფხულში, 2019 წლის იანვარსა და ივნისში. სულ საკვალიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 89 პირმა.

დაიხვეწა მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესი. სამოქალაქო საზოგადოების შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით დაზუსტდა მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა, ასევე „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში დეტალურად გაიწერა, თუ რა ინფორმაციას მოიძიებს კონკურსის მიმდინარეობისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გამოცხადდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა შესარჩევი კონკურსი, რომლის შედეგად 2019 წლის მარტში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა 20 მსმენელი. 2019 წლის ივნისში გამოცხადებულ ახალ შერჩევაში მონაწილეობას იღებს 91 კანდიდატი. გასაუბრების ეტაპი უკვე დასრულდა და კენჭისყრის ჩატარება იგეგმება უახლოეს მომავალში.

2. საქმეთა ნაკადის მართვა

სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ დგას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევის - მოსამართლეობის გადატვირთულობის წინაშე. გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრა სისტემურ მიდგომასა და კომპლექსურ, გეგმაზომიერ ნაბიჯებს მოითხოვს. 2018 წელს სულ შემოვიდა 225 449 საქმე, რაც 2017 წლის მონაცემთან შედარებით (206 533) 18 916 საქმით მეტია. ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ სასამართლოს დატვირთულობა, წინა წლების მსგავსად, მზარდია. ამასთან, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, განხილულია 24 048 საქმით მეტი - 216 816 საქმე. ამასთან, 2019 წლის 8 თვეში შემოვიდა სულ 144 658 საქმე და განხილულია 139 108 საქმე. აღსანიშნავია, რომ თუ განხილული საქმეების რაოდენობა 2018 წლის 8 თვეში წარმოადგენდა შემოსული საქმეების 91.8 %-ს, 2019 წლის 8 თვეში ეს მაჩვენებელი 96%-მდე არის გაზრდილი.

ზემოხსენებული საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) ექსპერტმა, იესპერ ვიტრუპმა, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, 2018 წელს მოამზადა კვლევა, რომლის მიზანიც იყო საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა. კვლევა ჩატარდა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ექსპერტების მიერ დადგინდა, რომ ოპტიმალური რაოდენობის მისაღწევად, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს, საშუალოდ, 100 ერთეულით. აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული კვლევა გრძელდება. ამჟამად მიმდინარეობს კვლევის მეორე ფაზა, რომელიც მიზნად ისახავს მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების სასამართლოებში განაწილების შეფასებას, ასევე საქმეთა წონების განსაზღვრის გონივრული სისტემის შემუშავებას. საერთო სასამართლოებში საქმეთა გაჭიანურება და დაგროვება USAID/PROLoG-ის ექსპერტმა, ბრაიან ლედუკმაც შეაფასა. ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, კონკრეტული კატეგორიის საქმეთა (ვალდებულებით-სამართლებრივი დავები) სიჭარბესთან ერთად, საქმეთა გაჭიანურებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს სასამართლოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის, მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა რაოდენობის, სასამართლო შენობებისა და მათი აღჭურვილობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტეროპერატიულობის ფაქტორები.

2018-2019 წლებში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სხვადასხვა რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებს დაემატა მოსამართლის 40 სამტატო ერთეული. დღევანდელი მდგომარეობით, I და II ინსტანციის სასამართლოებში არის მოსამართლის 378 ერთეული, საიდანაც ვაკანტურია 85 სამტატო ერთეული, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 22%-ია.

რაც შეეხება საერთო სასამართლოების აპარატების სამტატო რაოდენობას, I და II ინსტანციის სასამართლოებში აპარატის 1201 სამტატო ერთეული 2018 წელს გაიზარდა 104 ერთეულით, ხოლო მიმდინარე წელს 60 ერთეულით. საერთო რაოდენობით, საანგარიშო პერიოდში სამტატო ერთეულების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 12%-ით. დღევანდელი მდგომარეობით, 1365 სამტატო ერთეულიდან შევსებულია 1146 და ვაკანტურია 219 ადგილი.

საქმეთა ნაკადთან უკეთესად გამკლავების მიზნით გასულ წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც გაფართოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კომერციულ საქმეთა განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის ქვემდებარე საქმეთა ნუსხა, კერძოდ, კომერციულ დავებზე განისაზღვრა ნებისმიერი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, გარდა საოჯახო სამართლებრივი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელებისა, თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 000 ლარს; ასევე, სამეწარმეო სამართლებრივი დავები; ინტელექტუალურ-სამართლებრივი დავები, გარდა ნაწარმოების გამოყენების აკრძალვის და საავტორო უფლების მფლობელთან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ დავებისა. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განისაზღვრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციები.

საქმეთა ნაკადის შემცირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი მედიაციის განვითარება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მედიაციის ინსტიტუტის პოპულარიზაცია სასამართლოს მომხმარებელსა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს შორის. ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის მხარდაჭერით, შემუშავდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018-2019 წლების მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა, რომელთა მიზანია მედიაციის მიმართ საზოგადოების ცნობიერებისა და ნდობის ამაღლება, შედეგად კი, საერთო სასამართლოების განტვირთვა მედიაციისადმი საზოგადოების მიმართვიანობის გაზრდით. სტრატეგიის შესაბამისად დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადდა ვიდეორგოლი, ბლოგ-პოსტები და სტატიები მედიაციის შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ გასულ წელს რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში თანამედროვე სტანდარტით მოეწყო სასამართლო მედიაციის დარბაზები და უკვე ჩატარდა მედიაციის პროცესებიც.

აგრეთვე ევროკავშირისა და გაეროს განვითარების ფონდის პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის „მედიაცია და არბიტრაჟი - დავების ეფექტიანი გადაწყვეტა“ ფარგლებში ახალი საკომუნიკაციო სტრატეგია შეიქმნა, რომელიც განკუთვნილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, იუსტიციის სამინისტროსა და პარლამენტისთვის.

გარდა ამისა, როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მედიაციის შესახებ“. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების წახალისებისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით, კანონი განსაზღვრავს

მედიაციის წარმოების ზოგად პრინციპებს, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესს, მედიატორის უფლებამოსილებებსა და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კერძოდ, კანონით დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორცაა მედიატორის არჩევა/დანიშვნა, მედიატორთა ერთიანი რეესტრის წარმოება, მედიაციის პროცესი, სამედიაციო მორიგება და მისი აღსრულება, მედიატორის საქმიანობის ანაზღაურება და სხვა. საქმეთა ნაკადის შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დაემატა შრომით-სამართლებრივი დავები, საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავები, ქონებრივი დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 20000 ლარს არ აღემატება, საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან) გამომდინარე დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 10000 ლარს არ აღემატება და არაქონებრივი დავები. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, უკვე დაამტკიცა მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმა. კანონი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ავალდებულებს დაამტკიცოს მედიაციის პროგრამა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მუშაობს აღნიშნულ საკითხზე დონორი ორგანიზაციების და შესაბამისი ექსპერტების დახმარებით. ამასთან, 1 დეკემბრამდე განხორციელდება მედიატორთა რეესტრში იმ პირების რეგისტრაცია, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო 15 დეკემბრამდე ჩატარდება მედიატორთა ერთიანი რეესტრში რეგისტრირებულ პირთა პირველი კრება. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული კანონის პრაქტიკაში დანერგვა მნიშვნელოვნად შეამცირებს სასამართლოს დატვირთულობას და დაეხმარება საზოგადოებაში მორიგების კულტურის დამკვიდრებას.

საქმეთა ნაკადის დაძლევის მიზნით მნიშვნელოვანია სასამართლოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც, ამასთანავე, კავშირშია მოსამართლეთა და სასამართლოებში დასაქმებულ პირთათვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნასთან. თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე დასრულდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი, ოთხსართულიანი ფლიგელის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ახალი ფლიგელი სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობას გადასასვლელი დერეფნებით უკავშირდება. ახალ შენობაში სამოქალაქო საქმეთა დავების განხილვისათვის 24 სხდომათა დარბაზია, მათ შორის, ერთი ბიზნეს დავებისათვის. შენობაში 40-მდე მოსამართლის სამუშაო ოთახი და სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეა, სადაც განთავსდა 120-ზე მეტი თანამშრომელი. ყველა მოსამართლეს ახალი სამუშაო ოთახი და ინდივიდუალური სხდომათა დარბაზი აქვს. მსგავსი აქტივობები დაეხმარება მოსამართლეებს, რომ უკეთესად გაუმკლავდნენ მუდმივად მზარდ საქმეთა ნაკადს.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით დაგეგმილია და მიმდინარეობს მრავალი აქტივობა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე დაწყებულია სამუშაოები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი შენობის აშენების მიზნით. ამას გარდა, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა და იგეგმება სხვადასხვა სასამართლოებში სარემონტო სამუშაოების ჩატარება და მათი ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლო სისტემის სტრატეგიით განსაზღვრული

ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება შშმ პირებისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდას უკავშირდება. ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მიმდინარე წელს საერთო სასამართლოების ყველა შენობის ინფრასტრუქტურა შეფასდა შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით. კვლევის შედეგად გამოვლენილია გამოწვევები, რომელთა დასაძლევად დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სასამართლო სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესების თვალსაზრისით. პარტნიორი ორგანიზაციების (ევროპის საბჭო, ევროკავშირი, USAID/PROLOG, GIZ) ერთობლივი ინიციატივით ჩატარებული IT აუდიტის შედეგად განხორციელდა ელექტრონული საქმისწარმოების ფუნქციონირების და შესაბამისი ტექნიკური პრობლემების დიაგნოსტიკა; სასამართლოში არსებული რესურსების (ადამიანური და მატერიალური, მათ შორის ქსელური ინფრასტრუქტურა) შეფასება; საქმის ელექტრონული განაწილების სრულფასოვნად დანერგვისათვის არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება; სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობის უზრუნველყოფა ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის სრულყოფილად ამუშავებამდე/ამუშავების გარეშე და ა.შ. აუდიტის შედეგებმა გამოავლინა IT მიმართულებით არსებული გამოწვევები, რომელთა გადასაჭრელად პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიქმნა მოსამართლეებთან და სასამართლოს შესაბამისი მოხელეებთან დაკომპლექტებული ჯგუფი და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სასამართლო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

ამოქმედდა გადახდის უზუნარობის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა. გამართულად ფუნქციონირებს საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემაც, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ სასამართლოსადმი ნდობის უფრო მაღალ სტანდარტს, ხოლო მეორე მხრივ, ამცირებს მედიასა თუ სხვა წყაროებში საქმეთა განაწილებასთან არსებულ კითხვებს. საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით 2018 წელს სამივე ინსტანციის სასამართლოში განაწილდა სულ 258938 საქმე, მათ შორის 163401 განაწილდა შემთხვევითი განაწილების პრინციპით, რაც შეადგენს განაწილებული საქმეების 63,10%-ს. რაც შეეხება 2019 წლის 9 თვის მონაცემებს, სულ განაწილდა 211909 საქმე, მათ შორის 130240 შემთხვევითი განაწილების პრინციპით, რაც შეადგენს განაწილებული საქმეების 61,5%-ს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს 2019 წლის ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის ახალი ვებგვერდის ამოქმედება, რომლის მეშვეობით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ საქმის მიმდინარეობასა და საქმესთან დაკავშირებულ ყველა ელექტრონულ დოკუმენტს, მოიძიონ მიმდინარე საქმეზე ჩანიშნული სასამართლო სხდომის განრიგი, ასევე გაეცნონ სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ საჯარო შეტყობინებებს. ამჟამად, ვებგვერდზე საძიებო სისტემაში ხელმისაწვდომია 2018 და 2019 წლების გადაწყვეტილებები, წინა წლების გადაწყვეტილებები კი ეტაპობრივად აიტვირთება. სასამართლო გადაწყვეტილებების ახალი საძიებო სისტემის ამოქმედება კიდევ უფრო მეტად გაზრდის სასამართლოს გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

დონორი ორგანიზაციების დახმარებით შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ვებგვერდი, რომელიც უკეთესადაა მორგებული მომხმარებელთა მოთხოვნებზე და ბევრად გამარტივებულია ის ფუნქციები, რომლებსაც სასამართლოს მომხმარებლები იყენებენ ვებგვერდზე.

3. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის ხარისხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კარგად აქვს გათვითცნობიერებული მისი მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში, შესაბამისად, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით აგრძელებს მუშაობას ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად დამტკიცებული სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის განხორციელებაზე.

სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესს თან სდევდა გარკვეული გამოწვევები, რის გამოც, აქტივობების ნაწილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში ვერ შესრულდა და შესაბამისად, მათ დანერგვაზე მუშაობა სამომავლოდ გაგრძელდება. ხსენებულ გამოწვევებს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, 2017 წლის ზაფხულში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის განახლებამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ვადები ავტომატურად შეცვალა;
- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების ნაწილის შესრულება საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს, შესაბამისად, მათი შესრულება მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების ნებაზე არ იყო დამოკიდებული;
- აქტივობების დიდი ნაწილი სისტემაში მნიშვნელოვანი სიახლეების დანერგვას გულისხმობს, შესაბამისად, სისტემურ მიდგომას საჭიროებს. ასეთი სიახლეებს წარმოადგენს, მაგალითად, შეფასებისა და დაწინაურების აბსოლუტურად ახალი სისტემის დანერგვა. შეფასებისა და დაწინაურების წესის განსაზღვრა გარდაუვალია სასამართლოს სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის, თუმცა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საანგარიშო პერიოდში მიზანშეუწონლად მიიჩნია ახალი სისტემის შემოღება, რადგან ამ დონის გადატვირთულობის ფონზე, ის მოსამართლეებს რთულ და უსამართლო მდგომარეობაში ჩააყენებდა.
- სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, გასული წლის ზაფხულში (2018 წლის 25 ივლისს) სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინა სამოქმედო გეგმის შესრულების ერთწლიანი პროგრესის ანგარიში. უახლოეს მომავალში იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგენს სამოქმედო გეგმის შესრულების მეორე ერთწლიან ანგარიშსა და გეგმის შესრულების ორწლიანი შეფასების ანგარიშს, მათ საფუძველზე კი დაამტკიცებს სტრატეგიის იმპლემენტაციის მომდევნო 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმას. საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულები არიან ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე. მათ მოსაზრებებისთვის გაეგზავნათ სამოქმედო გეგმის პროექტი, გეგმის შესრულების მეორე ერთწლიან ანგარიშთან ერთად.

სასამართლო სისტემის სტრატეგიის განხორციელებაზე ზრუნვის პარალელურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ჩართული იყო სასამართლო რეფორმის ე.წ. მეოთხე ტალღის ცვლილებების მომზადებაში. როგორც მოგეხსენებათ, სარეფორმო ჯგუფის მიერ

მომზადებული ორგანული კანონის პროექტი უკვე საკანონმდებლო ინიციატივის წესით არის პარლამენტისთვის წარდგენილი. რეფორმის ფარგლებში მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა, ესენია: ა) იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა, ბ) საერთო სასამართლოების მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სამართალწარმოების ნორმების დახვეწა და გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის წესების გაუმჯობესება.

საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომები განსაკუთრებული ინტენსივობით, თითქმის ყოველ ორშაბათს ტარდება. კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წელს მიიღო 310, ხოლო 2019 წლის განმავლობაში - 218 გადაწყვეტილება. ასევე, საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ იქნა რამდენიმე საკანონმდებლო წინადადება.

4. დისციპლინური სამართალწარმოება

სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს დისციპლინური სამართალწარმოება, რომლის დახვეწის მიზნითაც საანგარიშო პერიოდში გატარდა არაერთი ღონისძიება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მართლმსაჯულების რეფორმის მე-4 ტალღის ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომათა სახეების კონკრეტიზაციას. პროექტის თანახმად, გადაცდომათა სახეები დაყოფილია შვიდ ძირითად ჯგუფად: ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს; ქმედებები, რომლებიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს; ქმედებები, რომლებიც არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს; ქმედებები, რომლებიც არღვევს წესიერების პრინციპს; ქმედებები, რომლებიც არღვევს თანასწორობის პრინციპს; ქმედებები, რომლებიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს და სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის სტატუსს.

დისციპლინურ სამართალწარმოებაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ საბჭოს მიერ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სტატისტიკას.

დისციპლინური საჩივრების განხილვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში (2018 წლის 21 ნოემბრიდან 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით - დამოუკიდებელი ინსპექტორის ბოლო ანგარიშის შემდეგ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა სამი სადისციპლინო სხდომა. განიხილა შემოსული საჩივრების 37.5% და მიიღო 98 გადაწყვეტილება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის საკითხი 16 დისციპლინურ საქმეზე განიხილა, საიდანაც 12 შემთხვევაში შეწყდა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნა, ხოლო 4 საქმეზე მოსამართლეები მიეცნენ დისციპლინურ პასუხისმგებაში. აღნიშნული 16 საქმიდან 3 საქმე შეეხებოდა მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, 1 საქმე - სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევას, ხოლო 8 საქმე - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას. დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ 12 საქმიდან 5 საქმეზე დისციპლინური დევნა შეწყდა სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო. დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებიდან 3 საქმე შეეხებოდა საქმის

განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას, ხოლო 1 - მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას.

5. მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიები

აღსანიშნავია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა სოციალური გარანტიების დაცვის თვალსაზრისით გატარებული ღონისძიებები. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის №1/65 გადაწყვეტილებით, დაწესდა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი. ამასთან, „საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის“ შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ამომწურავად განისაზღვრა დანამატის გაცემის შემთხვევები. მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების გაზრდა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს 2019 წლის განმავლობაში. ერთი მხრივ, მიმდინარეობს სტრატეგიითა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ისეთი აქტივობების შესრულება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია მოსამართლეთა სოციალური თუ სამართლებრივი გარანტიების გაზრდასთან. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ გვექნება საშუალება აღნიშნული საკითხები განვიხილოთ ხელისუფლების სხვა შტოებთან ერთად და შევიმუშაოთ კონსენსუსზე დაფუძნებული კანონპროექტი მოსამართლეთათვის კომპენსაციების დანიშვნის შესახებ. მოსამართლეთა კომპენსაციის საკითხი კვლავ დიდ გამოწვევად რჩება.

აღსანიშნავია პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება, რომელიც პარლამენტის მიერ მოწონების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაზრდის სასამართლო სისტემის ფინანსურ დამოუკიდებლობას. აღნიშნული საკანონმდებლო წინადადების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა უარს იტყვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილის გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილის პროექტს პირდაპირ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აქვე აღსანიშნავია, რომ გასულ წელს მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზარდა საერთო სასამართლოებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ოდენობა.

6. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა განგრძობადი განათლება

მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა განგრძობადი განათლების უზრუნველყოფის მიზნით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ბოლო პერიოდში არაერთი ღონისძიება გაატარა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის ინგლისური ენის შემსწავლელი კურსის თანადაფინანსების თაობაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციისა და ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა სავალდებულო ტრენინგების შესახებ. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგების გავლის წესის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილების შესაბამისად, მოსამართლეები წელიწადში არანაკლებ 3 დღის განმავლობაში გაივლიან

სავალდებულო ტრენინგებს, რომელთა ჩატარების მეთოდიკას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

ასევე, აღსანიშნავია და მოსამართლეთა კონფერენციას მოეხსენება, რომ შეირჩნენ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრები და არჩეულ იქნა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი.

სასამართლო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი წახალისების მიზნით, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, რეგულარულად ტარდება მართლმსაჯულების ზამთრისა და ზაფხულის სკოლები. პროექტი სასამართლო სისტემის მოქმედ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავს მიზნად. ხაზგასასმელია, რომ პროექტში აქტიურად მონაწილეობენ სასამართლოს მოხელეები სხვადასხვა რეგიონიდან.

მართლმსაჯულების რეფორმის ე.წ „მეოთხე ტალღის“ კანონპროექტი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმას. ამასთან, მიმდინარე წელს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა ყოველთვიური სტიპენდიის ოდენობა გაიზარდა 2000 ლარამდე, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემაში მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების შემოღინებას.

7. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულმა საქმიანობამ სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგის განმახორციელებელი არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან დაიმსახურა დადებითი შეფასება:

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ 2019 წლის ანგარიშში დაფიქსირებული წინსვლა. კერძოდ, ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო 190 სახელმწიფოს შორის მე-9 ადგილიდან მე-6 ადგილზე დაწინაურდა და საკუთარი მაჩვენებლებით უკან ჩამოიბრუნა აშშ, გაერთიანებული სამეფო და ნორვეგია. აღნიშნული წინსვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმაპირობებელ მიზეზად დასახელებულია საქმეთა შემთხვევითი, ელექტრონული განაწილება. კვლევის თანახმად, საქმეთა შემთხვევითმა, ელექტრონულმა განაწილებამ ხელი შეუწყო ხელშეკრულებების აღსრულებას, რაც ბიზნესის კეთების გამარტივების ერთ-ერთ კომპონენტად არის დასახელებული კვლევაში. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის ზემოხსენებული კვლევა ანგარიშის ფარგლებში აფასებს სასამართლო პროცესების ხარისხის ინდექსსაც. ეს უკანასკნელი კვლევაში ასევე დადებითად არის შეფასებული. კერძოდ, 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, სასამართლო პროცესების ხარისხი 18-დან 12.5 ქულით იყო შეფასებული, 2019 წლის მონაცემებით კი მაჩვენებელი 13-მდე გაიზარდა, რაც პროცესების ხარისხის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

ასევე, 2019 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა ფრეიზერის ინსტიტუტის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომლის თანახმად, დამოუკიდებლობისა და საკუთრების უფლებების დაცვის კომპონენტების შეფასებით, საქართველოს სასამართლო სისტემა წინ უსწრებს ევროკავშირის წევრს სახელმწიფოებს: ბულგარეთს, ხორვატიას, უნგრეთს, პოლონეთსა და სლოვაკეთს. სასამართლოს მიუკერძოებლობის კომპონენტში კი, ჩამოთვლილი სახელმწიფოების გარდა, მისი შეფასება აღემატება ესპანეთის, ლიტვის,

რუმინეთის, ჩეხეთის, პორტუგალიის, სლოვენის, ლატვიის, საბერძნეთისა და იტალიის შეფასებას.

აქვე აუცილებლად უნდა ვახსენოთ ავტორიტეტული და ნეიტრალური სუბიექტების - „IPROS FRANCE“-ის (მსოფლიოში მე-3 ადგილზე მყოფი კვლევითი ორგანიზაცია), „Amicus Curiae“-ის, პროფესორი იან ვან დაიკის და საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის კვლევის საერთაშორისო ცენტრ „გორბის“ მიერ შემდგარი კონსორციუმის კვლევის - „სასამართლო რეფორმების შეფასება საქართველოში“, შედეგები, რომლის თანახმად:

- რესპონდენტთა 51% საქართველოს სასამართლო სისტემას მოსამართლეებისა და სასამართლოების დამოუკიდებლობის თვალსაზრისით კარგად აფასებს;
- მოსახლეობის 52% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოში სასამართლო არის სანდო;
- დებულებას, რომ საქართველოში სასამართლო არის სამართლიანი, ეთანხმება რესპონდენტთა 55%;

სასამართლო სისტემის რეფორმებმა, რომლებიც 2013 წლის შემდეგ გატარდა, რესპონდენტთა 52%-ის აზრით, ხელი შეუწყო სერვისების გაუმჯობესებას, ხოლო 49%-ის აზრით, სასამართლო გახადა უფრო ღია და გამჭვირვალე. სასამართლო სისტემაში მიმდინარე დადებით პროცესებზე მეტყველებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობის აშკარა კლება. თუ 2011 წელს ევროპულ სასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ საჩივრით მიმართა 395-მა მოქალაქემ, ეს რიცხვი თითქმის 4-ჯერ შემცირდა და 2018 წელს მხოლოდ 99-მა ადამიანმა შეიტანა საჩივარი სტრასბურგის სასამართლოში.

8. საზოგადოებასთან კომუნიკაცია

სასამართლო სისტემის გამოწვევებს შორის რჩება საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება. სხვადასხვა კვლევით გამოვლინდა, რომ მოქალაქეები ხშირ შემთხვევაში სრულყოფილად არ ფლობენ ინფორმაციას სასამართლოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი გამოწვევაა რჩება არასწორი, ტყუილი ინფორმაციის გავრცელება, სასამართლო სისტემაც არ არის გამონაკლისი. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა საკომუნიკაციო სტრატეგია. დოკუმენტი სასამართლო სისტემის სტრატეგიის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით და ევროკავშირის (EU4Justice) მხარდაჭერით მომზადდა. მთავარი მიზანი არის მიზნობრივ ჯგუფებთან კომუნიკაციის გააქტიურება. საზოგადოებაში ნდობის განმტკიცებისა და მხარდაჭერის მოპოვებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სწორედ სასამართლო იყოს პროაქტიული და რეფორმებისა თუ მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ სამიზნე ჯგუფებთან ინტენსიური კომუნიკაციის ინიციატორი. საზოგადოებისთვის ინფორმაციის დროულად და სწორად მიწოდების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სპიკერ-მოსამართლეები დაამტკიცა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. აქვე აღსანიშნია, რომ სპიკერ-მოსამართლეთა ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით, სპიკერ-მოსამართლეებმა ეფექტიან კომუნიკაციაში გადამზადება გაიარეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე საქალაქო სასამართლოში უფასო იურიდიული დახმარების პროექტი განხორციელდა.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ კვალიფიციური იურიდიული დახმარება მიეღოთ სასამართლოს თანამშრომლებისგან. ამ ღონისძიების მთავარი მიზანი იყო, დაენახა საზოგადოებას, რომ სასამართლო სისტემა ღიაა და ხელმისაწვდომი.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეების მონაწილეობით არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, მათ შორის საბანკო სექტორთან და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებთან, რაც ადასტურებს იმას, რომ სასამართლო სისტემა ღიაა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე სასაუბროდ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო ფორუმსა თუ კონფერენციაში. ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით გასვლითი მედია სემინარიც გაიმართა ჟურნალისტებთან. მედიის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრაზე საუბარი იყო სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებზე.

საზოგადოებაში სასამართლოს ნდობის ამაღლების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, იგეგმება საერთო სასამართლოებში „ღია კარის დღის“ ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპების და სხვა რელევანტური საკითხების გაცნობას.

ამასთან, დღის წესრიგში დგას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის განახლება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გაზრდას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები. მიმდინარე წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელ აქტებში არაერთი ცვლილება იქნა შეტანილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შეიცვალა საბჭოს მიერ მიღებული აქტების გამოქვეყნების წესი. ახალი რეგულაციის თანახმად, გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 5 დღის ვადაში ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე. ამასთან, ხელმისაწვდომია გადაწყვეტილებების კონსოლიდირებული ვერსიებიც.

9. გამოწვევები და შეჯამება

მიუხედავად აქტიური მუშაობისა, სასამართლო სისტემა კვლავ დგას გამოწვევების წინაშე. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასამართლოთა გადატვირთულობას უკავშირდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, უმნიშვნელოვანესია მოსამართლეთა რაოდენობის ოპტიმალურ მინიმუმამდე გაზრდა, ასევე დასახვეწია მოსამართლეთა საპენსიო სისტემა, რაც დამატებით ფინანსურ რესურსს საჭიროებს და ამ მიმართულებით საბჭო განაგრძობს აქტიურ მუშაობას ხელისუფლების სხვა შტოებთან. ამასთან, შესაქმნელია სასამართლოთა ეფექტიანობის შეფასების სისტემა, განსავითარებელია ხარისხის სტანდარტები, გადასაწყვეტია მოსამართლეთა პერიოდული შეფასებისა და მოსამართლეთა დაწინაურების სისტემების საკითხი, გასაუმჯობესებელია ინფრასტრუქტურა (მათ შორის, მნიშვნელოვან სამუშაოებს საჭიროებს IT ინფრასტრუქტურის გამართვა).

მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და სასამართლოს საქმიანობის თაობაზე საზოგადოების ცნობიერების გაზრდის მიმართულებით. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კვლავ რჩება დიდ გამოწვევად და მომავალი წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო გეგმავს ამ მიმართულებით არაერთი აქტივობის

განხორციელებას. პირველ რიგში დასამტკიცებელია საკომუნიკაციო სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმა, რის შემდეგაც დაიწყება გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება და შესამჩნევი გახდება რაოდენობრივი ინდიკატორებით დათვლადი წინსვლა ამ მიმართულებით.

გამოწვევებთან გამკლავების პროცესში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყურადღებით განიხილავს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციებსა თუ შენიშვნებს. განხორციელებული და მიმდინარე ცვლილებები დადებით გავლენას იქონიებს როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობაზე, ასევე ზოგადად სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე და ეს პროგრესი შესამჩნევი იქნება არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისთვის, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის.